დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2010 წლის 3 დეკემბრის
№1551 განკარგულებით

კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია

შესავალი

საქართველოს მთავრობის ამოცანაა ისეთი ინსტიტუციური და სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს საბაზრო ეკონომიკის, თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობისა და კონკურენციის ჩამოყალიბება-განვითარებას ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ევროკომისიის რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიისა და სამოქმედო პროგრამის შემუშავება.

სტრატეგია მომზადდა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის ფარგლებში ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მოსამზადებელ საკითხთა კოორდინაციის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის (შემდგომში – უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი) მიერ.

კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის (შემდგომში – სტრატეგია) საშუალებით საქართველოს მთავრობა გამოხატავს პოლიტიკურ ნებას, შეიმუშაოს კონკურენციის პოლიტიკა და მოიყვანოს კანონმდებლობა და ინსტიტუტები საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში.

სტრატეგიის ძირითად მიზანს წარმოადგენს კონკურენციის ხელშეწყობა, მაქსიმალურად გამჭვირვალე და სამართლიანი კონკურენტული პირობების შექმნით საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და მიმოქცევის ეფექტიანობის უზრუნველყოფა.

სტრატეგია ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

- თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის ხელშეწყობა:
  - დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა
  - კონცენტრაციის რეგულირება
  - კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების, შეთანხმებული ქმედებების, ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებების და შეთანხმებული სატენდერო შეთავაზებების რეგულირება
- შესაბამისი ბაზრის განმარტება
- გამონაკლისთა ჯგუფის შემოღება
- სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურების სპეციალური წესების შემდგომი განვითარება და ეფექტიანობის ამაღლება
- უფლებამოსილი ორგანოს დამოუკიდებლობა და კონკურენციის შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით საქმის შესწავლის (შემდგომში – საქმის შესწავლა) უფლებამოსილებები
- უფლებამოსილი ორგანოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება

- კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტურად აღსრულების უზრუნ-ველყოფა.

სტრატეგია მოიცავს: პირველი, კონკურენციის სფეროში არსებული კა-ნონმდებლობისა და ინსტიტუციური მოწყობის ანალიზს; მეორე, კონ-კურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის მომზადების სა-მუშაო პროცესის აღწერას; მესამე, კონკურენციის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და კომპონენტებს.

თავი 1. კონკურენციის სფეროს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო

1.1. არსებული კანონმდებლობის მიმოხილვა

დღეისათვის საქართველოში კონკურენციის საკითხებს არეგულირებს რიგი ნორმატიული აქტები:

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმი-ანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით...“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლი ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მონოპოლიური საქმიანობისა და თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის შეზღუდვისათვის შესაბა-მისი ჯარიმის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებით.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მოიცავს დებულებებს არაკონკურენტული პირობების არსებობის დროს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ.

საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირება შემოღებულ იქნა 1992 წელს სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“. 1996 წელს მიღებულ იქნა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც გაუქმებულ იქნა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით 2005 წელს.

საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ მიღებულ იქნა კონკურენციის პოლიტიკის რეფორმის ფარგლებში. აღნიშნული კანონის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა კორუფციის საფრთხის შემცირება „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების პროცესში და, შედეგად, ბაზრის მონაწილეთათვის თანაბარი პირობების შექმნა.

„თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ძირითადად ორიენტირებულია სახელმწიფო დახმარებაზე. სახელმწიფო დახმარება განიმარტება, როგორც ნებისმიერი ფორმის ერთჯერადი დახმარება, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში. კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო დახმარების შემდეგ ფორმებს:

- გადასახადებისაგან გათავისუფლება ან გადასახადის გადახდის გადავადება
- ვალების ჩამოწერა
- რესტრუქტურიზაცია

- შეღავათიანი (კონცესიური) სესხების გაცემა
- სარფიანი სასესხო გარანტიები
- განსაკუთრებული პირობების შეთავაზება უძრავი ქონების შესაძენად
- სახელმწიფო შესყიდვების პროცესში უპირატესი (შეღავათიანი) პირობები
- მოგების გარანტიები
- სხვა ექსკლუზიური უფლებების მინიჭება რიგი ეკონომიკური აგენტებისათვის ან/და საქონლის წარმოებისათვის.

იკრძალება სახელმწიფო დახმარების ნებისმიერი ფორმა, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საფრთხეს, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, როგორიცაა: ფორსმაჟორული გარემოებები, სახელმწიფოს მონაწილეობა რიგი ეკონომიკური საქმიანობის ან ეკონომიკური ზონის განვითარებაში ან/და კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებული კანონი ძირითადად შეეხება სახელმწიფო დახმარებას. კანონის ეს კონკრეტული მახასიათებელი აიხსნება შემდეგი ფაქტორებით:

- **არსებული კანონი ,,თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ მიღებულ იქნა გარდამავალი პერიოდისათვის.** 2005 წლის რეფორმამდე საზოგადოებაში არსებობდა განცდა ძველი ანტიმონოპოლიური სამსახურის საქმიანობაში კორუფციის მაღალი რისკის შესახებ. შესაბამისად, ამ საკითხის გადაწყვეტისა და შემდგომი კორუფციის რისკის აღმოსაფხვრელად მიღებულ იქნა ამჟამად მოქმედი კანონი ,,თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მსგავს ინსტიტუტებთან შედარებით, კანონი სსიპ – თავისუ-

ფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ანიჭებს შეზღუდულ ინსტიტუციურ უფლებამოსილებას.

- **კონკურენციის სექტორული რეგულირება არსებობს და მოქმედებს.** საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, სექტორები, სადაც დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და კონცენტრაციის რისკი ძალიან მაღალია, წარმოადგენს არალიბერალურ სექტორებს, რომლებიც რეგულირდება შესაბამისი კანონებითა და სექტორული მარეგულირებლებით. აღნიშნული პრაქტიკა გამოიყენება საქართველოშიც. რეგულაციები მოქმედებს ისეთ არალიბერალურ სექტორებში, როგორიცაა: ენერგეტიკა, კომუნიკაციები, საფინანსო სექტორი. 2005 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, რომელიც ძირითადად ეხება სახელმწიფო დახმარებას. შესაბამისად, ზემოაღნიშნული არალიბერალური სექტორები მოქცეულია კონკურენციის სპეციალური რეგულირების ქვეშ. აღსანიშნავია, რომ საქართველოში არალიბერალური სექტორები ხასიათდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მნიშვნელოვანი წილით ეკონომიკის სექტორებში და დიდი კომპანიების არსებობით. ბოლო წლების განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აღნიშნულ სექტორებში შეადგენს ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაახლოებით 50%-ს.
- **ქართულ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მოპოვების და, შესაბამისად, მისი ბოროტად გამოყენების რისკი შედარებით დაბალია.** საქართველოს საწარმოების დაახლოებით 98% არის მცირე ან საშუალო ზომის. აქედან გამომდინარე, ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის

მოპოვების შესაძლებლობა ლიბერალურ სექტორებში მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე არალიბერალურ სექტორებში.

- **ვაჭრობის დაბალი სატარიფო და არასატარიფო ბარიერები.** 2004 წლიდან განხორციელებული რეფორმების შედეგად შემოღებულ იქნა საქონლისა და მომსახურების იმპორტზე დაბალი ტარიფები და მნიშვნელოვნად შემცირდა არასატარიფო ბარიერები. შედეგად, საქართველოს ეკონომიკა გახდა მნიშვნელოვნად ღია. შემცირდა ბაზარზე შემოსვლის ბარიერები და, შესაბამისად, ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მოპოვების და მისი ბოროტად გამოყენების რისკიც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ არ მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კონკურენციის სფეროში არსებული დეფინიციები, პრინციპები და რეგულაციები.

ამასთან, არც წინა და არც ამჟამად მოქმედი კანონი არ შეესაბამება ევროკავშირისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას კონკურენციის სფეროში.

1.2. არსებული ინსტიტუციური მოწყობა

ამჟამად, საქართველოში კონკურენციის სფეროს ინსტიტუციური ჩარჩო შედგება შემდეგი ინსტიტუტებისაგან:

- სსიპ – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო)
- სექტორული მარეგულირებლები არალიბერალურ სექტორებში:

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომელიც წარმოადგენს სექტორულ მარეგულირებელს ელექტრონული კომუნიკაციებისა და საფოსტო მომსახურების სფეროში, შეიქმნა 2000 წელს.
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, რომელიც წარმოადგენს სექტორულ მარეგულირებელს ენერგეტიკის, ბუნებრივი აირისა და წყლის მიწოდების სექტორებში, შეიქმნა 1997 წელს.

კონკურენციის პოლიტიკა არალიბერალურ სექტორებში (მაგ. ელექტრონული კომუნიკაციები, ელექტროენერგია, აირი და წყალმომარაგება) რეგულირდება სექტორული კანონებით, რომლებსაც აღასრულებენ შესაბამისი სექტორული მარეგულირებლები. ლიბერალიზაციის არარსებობის პირობებში აღნიშნულ სექტორებში ტარიფები და სხვა საბაზრო პირობები განისაზღვრება სექტორული მარეგულირებლის მიერ.

ამრიგად, ლიბერალიზაციის არარსებობის პირობებში სექტორული მარეგულირებლები პასუხისმგებელნი არიან ეკონომიკურ, ტექნიკურ რეგულირებასა და კონკურენციის დაცვაზე არალიბერალურ სექტორებში, მათ შორის, შეთანხმებული ქმედებებისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების რეგულირებაზე.

1.3. ძირითადი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ნაკლოვანებები

მოქმედი კანონმდებლობა კონკურენციის შესახებ შეიცავს რიგ ნაკლოვანებებს, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას ამ სტრატეგიის შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიერ განსახორციელებელი რეფორმის შედეგად.

- პირველი, შეუძლებელია არსებული კანონი მიჩნეულ იქნეს „ჩარჩო კანონად“[1], გამომდინარე იქიდან, რომ ამჟამად მოქმედი კანონი არ შეიცავს კონკურენციის სფეროსათვის დამახასიათებელ ძირითად დეფინიციებს, პრინციპებსა და პროცედურებს.
- მეორე, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ძირითადად ეხება სახელმწიფო დახმარებას, სახელმწიფო დახმარება და მისი გაცემის პროცედურები არ არის სათანადოდ განმარტებული.
- მესამე, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს არ გააჩნდა საკმარისი დამოუკიდებლობა და კომპეტენცია. სააგენტო წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, მას თითქმის არავითარი კომპეტენცია არ გააჩნდა კონკურენციის სფეროში, გარდა სახელმწიფო დახმარების რეგულირებისა. ეს ინსტიტუტი დაარსდა გარდამავალი პერიოდისათვის. ამჟამად მიმდინარეობს ინსტიტუციური რეფორმა.

თავი 2. კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის მომზადების სამუშაო პროცესი

საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის შემუშავებისა და შესაბამისი კანონმდებლობის ევროკავშირისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით საქართველოს მთავრობამ შექმნა უწყება-

---

[1] *ჩარჩო კანონი იქნება კონკურენციის ყოვლისმომცველი კანონი, რომელიც მოიცავს ყველა შესაბამის საკითხს და ეკონომიკის ყველა სექტორს*

თაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შესაბამის სამინისტროებსა და ინსტიტუტებთან თანამშრომლობით შეიმუშავა სტრატეგიის პროექტი.

სტრატეგიის მომზადების პროცესში უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა:

- შეისწავლა და გააანალიზა საქართველოს კანონმდებლობა კონკურენციის სფეროში
- შეისწავლა და გააანალიზა საერთაშორისო და ევროპული გამოცდილება/მოთხოვნები კონკურენციის სფეროში
- განსაზღვრა საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის პრიორიტეტები და პრინციპები
- გააანალიზა საქართველოს კანონმდებლობის ნაკლოვანებები
- კოორდინაცია გაუწია სტრატეგიის იმპლემენტაციისათვის აუცილებელ მოსამზადებელ სამუშაოებს
- უზრუნველყო სამთავრობო ინსტიტუტების მონაწილეობა სტრატეგიის შემუშავების პროცესში. აქტიურად თანამშრომლობდა დაინტერესებულ მხარეებთან, დონორ ორგანიზაციებსა და შესაბამის ინსტიტუტებთან.

სტრატეგიის პროექტზე მუშაობის პერიოდში უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფს დახმარება გაუწია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფმა. პროცესს უძღვებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩევლები.

კონკურენციის სფეროში ევროკავშირის ნორმატიული ბაზის ძირითადი პრინციპების უკეთ გაგების მიზნით უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა ევროპის კავშირის ფუნქციონირების სადამფუძნებლო ხელშეკრულება (TFEU), კონკურენციის სფეროში არსებული ევროკავშირის რეგულირებები და დირექტივები, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მოდალური კანონი კონკურენცის

შესახებ, მწვანე წიგნი ევროკავშირის ანტიმონოპოლიური წესების დარღვევისა და ზიანის შესახებ[2], ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონკურენციის შეფასების ინსტრუ-მენტი, სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის, ევროკავშირის წევრი სახელ-მწიფოების, კონკურენციის კანონმდებლობა და საუკეთესო პრაქტიკა. პარალელურად, კონსულტაციები გაიმართა ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC) მიერ მოწვეულ საერთაშორისო ექსპერტებთან.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფმა მოამზადა კონკუ-რენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის კონცეფცია და ძირი-თადი პრინციპები. საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიამ (2009 წლის 28 ივლისს), რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მიმოიხილა და შეისწავლა სტრატეგიის კონცეფცია. კომისიის წევრებს მიეცათ ორი კვირის ვადა დოკუმენტზე საკუთარი კომენტარების გასაკეთებლად.

სექტემბრის დასაწყისში სტრატეგიის პირველადი პროექტი კომენტა-რებისათვის გადაეგზავნათ შესაბამის ინსტიტუტებს. 2009 წლის 8 სექ-ტემბერს მოხდა სტრატეგიის პროექტის განხილვა. სტრატეგია შეთანხმე-ბულ იქნა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიასთან და 2009 წლის 10 სექტემბერს წარედგინა ევროკომისიის სავაჭრო დირექტო-რატს. კომისიამ სტრატეგიასთან დაკავშირებული კომენტარები საქართვე-

---

[2] *Doc. SEC(2005)1732, of 19-12-2005*

ლოს მთავრობას გაუგზავნა 2009 წლის 5 ნოემბერს. ექსპერტთა შეხვედრა კომისიასა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს შორის შედგა ქ. ბრიუსელში 2009 წლის 25 ნოემბერს. შეხვედრის დროს მხარეებმა დეტალურად განიხილეს სტრატეგია და მოამზადეს სამოქმედო დასკვნების პროექტი, რომელიც მხარეებს შორის შეთანხმდა 2010 წლის იანვარში. აღნიშნული დასკვნები აისახა სტრატეგიის პროექტში.

სამოქმედო დასკვნების თანახმად სტრატეგიის პროექტი გაეგზავნა GEPLAC-ის მიერ მოწვეულ შვედ ექსპერტს, ბატონ კრისტიან ბლუმეს, საქართველოში მის ვიზიტამდე. ექსპერტმა შეისწავლა სტრატეგია. შემდგომი სამი შეხვედრა ჩატარდა 2010 წლის 2-4 მარტს, ბატონ კრისტიან ბლუმესა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს შორის.

2010 წლის თებერვალში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი დაესწრო OECD-ს მიერ ორგანიზებულ გლობალურ ფორუმს კონკურენციის საკითხებზე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს გერმანიის ტექნიკური დახმარების ორგანიზაციის (GTZ) მიერ ორგანიზებულ სამუშაო ვიზიტში, რომელიც მოიცავდა გერმანიის კონკურენციის პოლიტიკის საკითხების შესწავლას.

2010 წლის 13 მარტს სტრატეგიის შესწორებული პროექტი შესათან-ხმებლად წარედგინა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიას და გადაეგზავნა DG Trade-ს.

2010 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ევროკომისიის კომენტარები სტრატეგიის პროექტსა და სამოქმედო პროგრამაზე.

2010 წლის 3 ივნისს თბილისში გაიმართა შეხვედრა ახლადშექმნილ სსიპ – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფის, ესტონეთის საელჩოსა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენ-ტოს (SIDA) წარმომადგენლებს შორის. შეხვედრაზე განხილულ იქნა სამო-მავლო თანამშრომლობისა და სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებ-ლობების განვითარების საკითხები. შეხვედრის მიზანი იყო დონორების დახმარების ეფექტური კოორდინირება.

2010 წლის 10 ივნისს თბილისში გაიმართა შეხვედრა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებსა და დონორებს შორის. შვედურ მხარეს წარმოადგენდა შვედეთის კონკურენციის სააგენტო და SIDA, ქართულ მხარეს წარმოადგენდა სსიპ – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩევლები და მრჩეველთა ჯგუფი. შეხვედრის ფარგლებში კიდევ ერთხელ დეტალურად იქნა განხილული სტრატეგიის პროექტი. ქართულმა მხარემ მიიღო სასარგებლო რეკომენდაციები შვედური მხარისაგან. ორივე მხარემ გამოხატა სურვილი და მზადყოფნა მომავალი თანამშრომლობისთვის.

2010 წლის 25 ივნისს ექსპერტების შეხვედრა გაიმართა ქ. ბრიუსელში, სადაც განხილულ იქნა ყველა ღიად დარჩენილი საკითხი და მიღწეულ იქნა შეთანხმება, მომზადებულიყო სტრატეგიის საბოლოო პროექტი.

ქართულმა მხარემ შეიტანა ცვლილებები სტრატეგიაში და გაუგზავნა ევროკომისიას 2010 წლის 7 ივლისს.

საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 8 სექტემბერს მიიღო ევროკომისიის კომენტარები და ასახა ისინი სტრატეგიაში.

სტრატეგიის საბოლოო პროექტი გადაეგზავნა ევროკომისიას 2010 წლის 8 ოქტომბერს.

თავი 3. სტრატეგიის ხედვა – კონკურენციის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

სტრატეგია ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

- თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა
- ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა ეფექტური ბაზრების მეშვეობით
- საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან
- სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზის შექმნა ეფექტური კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის

- კონკურენციის ჩარჩო კანონის გავრცელება ეკონომიკის ყველა სექ-ტორზე
- კონკურენციის ჩარჩო კანონით ბაზარზე ანტიკონკურენციული ქმედე-ბების საწინააღმდეგო ზომების განსაზღვრა
- კონკურენციის ჩარჩო კანონით გამონაკლისთა ჯგუფის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა
- კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა
- კონკურენციის სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცეს-ში სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ნებისმიერი ჩარევის დაუშვებლობა
- კონკურენციის სააგენტოსათვის საქმის შესწავლის უფლებამოსილების მინიჭება
- კონკურენციის კანონმდებლობის ეფექტური აღსრულების მექანიზ-მების შემოღება
- კონკურენციის ჩარჩო კანონისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების იმპლემენტაციისთვის ინსტიტუციური და ადმინისტრაციული შესაძლებ-ლობების გაძლიერება
- თანმიმდევრული იმპლემენტაცია სამოქმედო პროგრამის შესაბამისად.

თავი 4. კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის კომპონენტები

4.1. კონკურენციის ჩარჩო კანონის მომზადება და მისი მიღება

როგორც უკვე აღინიშნა, არსებული კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ შეიცავს რიგ ნაკლოვანებებს, რომლებიც შესა-

ბამისობაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან.

შესაბამისად, ჩარჩო კანონი უნდა მოიცავდეს შემდეგ დეფინიციებს, პრინციპებსა და რეგულირებებს კონკურენციის სფეროში:

- დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვა
- კონცენტრაციის რეგულირება
- შემზღუდველი შეთანხმებების, შეთანხმებული ქმედებების, ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული სატენდერო შეთავაზებების რეგულირება
- შესაბამისი ბაზრის დეფინიცია
- გამონაკლისთა ჯგუფის შემოღება
- სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურების სპეციალური წესების განსაზღვრა
- კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

კონკურენციის ჩარჩო კანონი გავრცელდება ეკონომიკის ყველა სექტორზე, მათ შორის, არალიბერალურ სექტორებზე.

4.1.1. ჩარჩო კანონის მიმართება არალიბერალური სექტორების მარეგულირებელ კანონებთან

არალიბერალურ სექტორებში ამჟამად მოქმედი კანონები მოიცავენ კონკურენციის ძირითად საკითხებს. ამ სტრატეგიის მიზანია, კონკურენციის პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპები სრულად აისახოს

კონკურენციის ჩარჩო კანონში და მოხდეს მისი მისადაგება ეკონომიკის ყველა სექტორისადმი, მათ შორის, არალიბერალური სექტორებისადმი.

არალიბერალური სექტორების მარეგულირებელ კანონებში უნდა შევიდეს ცვლილებები კონკურენციის ჩარჩო კანონთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, კოლიზია უნდა აღმოიფხვრას და მიღწეულ უნდა იქნეს ერთიანობა.

4.1.2. კონკურენციის კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის და საერთაშორისო სტანდარტებთან

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, კანონი კონკურენციის შესახებ უნდა არეგულირებდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, კონცენტრაციის რეგულირება და ა.შ.

კონკურენციის კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით კონკურენციის ჩარჩო კანონი უნდა მოიცავდეს შემდეგ დეფინიციებს, რეგულირებებს და იმპლემენტაციის დებულებებს:

- **ანტიტრასტული დებულებები:**
- დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება
- კონცენტრაციის რეგულირება

- შემზღუდველი შეთანხმებები, შეთანხმებული ქმედებები, ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებები და შეთანხმებული სატენდერო შეთავაზებები
- შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა
- გამონაკლისთა ჯგუფი

- **სახელმწიფო დახმარება**

- სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურების ზოგადი წესები
- მცირე მნიშვნელობის *(De minimis)* სახელმწიფო დახმარება
- სექტორული გამონაკლისები

- **ინსტიტუციური დებულებები:**

- ინსტიტუციური დამოუკიდებლობა
- საქმის შესწავლის უფლებამოსილება
- გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნული დეფინიციები, რეგულირებები და იმპლემენტაციის დებულებები უნდა გავრცელდეს ეკონომიკის ყველა სექტორზე. ამასთანავე, ჩარჩო კანონი უნდა მოიცავდეს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორს.

სტრატეგიის შემდეგი თავები ეხება თითოეულ ზემოაღნიშნულ კომპონენტს.

4.1.3. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

ევროკავშირის კანონმდებლობით შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება იკრძალება.

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ნიშნავს:

- პირდაპირი ან არაპირდაპირი არასამართლიანი შესყიდვის ან გაყიდვის ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების დადგენას
- წარმოების, ბაზრების ან ტექნიკური განვითარების შეზღუდვას მომხმარებელთა საზიანოდ
- სხვადასხვა პარტნიორებთან ეკვივალენტური ტრანზაქციისას დისკრიმინაციული პირობების დაწესებას, რაც მათ კონკურენტულად წამგებიან მდგომარეობაში აყენებს
- ხელშეკრულებების წინაპირობად მეორე მხარისათვის ისეთი დამატებითი ვალდებულებების დაწესებას, რომლებსაც კომერციული თვალსაზრისით, არ გააჩნიათ რაიმე კავშირი ამგვარ ხელშეკრულებებთან[3].

კონკურენციის ჩარჩო კანონი გაითვალისწინებს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების განმარტებას ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.

საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, დომინირებული მდგომარეობის საბაზრო წილი შეიძლება დადგინდეს კანონით ან პრეცედენტული გზით[4].

---

[3] *TFEU, მუხლი 102*

[4] *პრეცედენტული გზით დომინირებული მდგომარეობის ზღვარი დგინდება მთელ რიგ ქვეყნებში, როგორიცაა ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ფინეთი, დანია, ირლანდია, იტალია*

ევროკავშირის ქვეყნებში კანონით დაწესებული დომინირებული მდგომარეობის განმსაზღვრელი ზღვარი მერყეობს 30%-50%[5] შორის.

იმ ეკონომიკური აგენტების საქმიანობა, რომელთა საბაზრო წილი კანონმდებლობით ან პრეცედენტული გზით დადგენილ ზღვარზე დაბალია, არ ექვემდებარება კონკურენციის რეგულირებას.

კონკურენციის ჩარჩო კანონის შემუშავების პროცესში მიღებულ იქნება გადაწყვეტილება იმის შესახებ, როგორ მოხდება დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრა, კანონით თუ პრეცედენტული გზით. ორივე მიდგომა სრულად შეესაბამება ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტებს.

დომინირებული მდგომარეობა თავისთავად არ გულისხმობს კონკურენციის დარღვევას, სანამ არ მოხდება ამგვარი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. საბაზრო წილი უნდა განიხილებოდეს, როგორც ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ეკონომიკური აგენტების დომინირებული მდგომარეობის დადგენისათვის და არა როგორც ზღვარი, რომლის ზემოთაც ბოროტად გამოყენება უკვე სახეზეა. საბაზრო ძალაუფლება თავისთავად ბოროტად გამოყენებას არ გულისხმობს. შესაბამისად, კონკურენ-

---

[5] *ავსტრიასა და ბულგარეთში ზღვარია 30%-35%, ესტონეთში, საბერძნეთში, ლატვიასა და შვედეთში – 40%-50%*

ციის ჩარჩო კანონი ყურადღებას გაამახვილებს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამოვლენაზე.

ცალკეულ შემთხვევებში დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრისათვის საკმარის მტკიცებულებად არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ოფიციალური სტატისტიკა დაკვირვებადი ეკონომიკის შესახებ. გამოყენებული უნდა იყოს სხვა ხელმისაწვდომი კრიტერიუმები და წყაროები, მათ შორის, მონაცემები დაუკვირვებადი ეკონომიკის შესახებ (იხ. თავი 4.1.7), ბაზარზე გავლენის ანალიზი და ა.შ. ყველა შესაძლო შემთხვევაში საბაზრო წილის გაანგარიშებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული დაუკვირვებადი ეკონომიკა. კონკურენციის ჩარჩო კანონი განსაზღვრავს დაუკვირვებადი ეკონომიკის გათვალისწინების პრინციპს. კანონქვემდებარე აქტები უზრუნველყოფენ დეტალურ ახსნას, როგორ და როდის უნდა იქნეს გათვალისწინებული დაუკვირვებადი ეკონომიკა.

რეგულირებას არ ექვემდებარება იმ ეკონომიკური აგენტების საქმიანობა, რომელთა საბაზრო წილიც იმყოფება ზღვარს ქვემოთ.

4.1.4. კონცენტრაციის რეგულირება

ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად:

1. კონცენტრაციას ადგილი აქვს, როდესაც:

ა) ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტი მთლიანად ან ნაწილობრივ ერწყმის ერთმანეთს;

ბ) ერთი ან რამდენიმე პირი, რომელიც აკონტროლებს სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს, ან ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტი მოი-

პოვებს პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლს სხვა ეკონომიკურ აგენტზე ან მის ნაწილზე, წილის/აქციების ან ქონების შესყიდვის გზით, ხელშეკრულების ან სხვა სამართლებრივი საფუძვლით.

2. ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობაზე კონტროლის მოპოვება ხორციელდება უფლებების ფლობის, ხელშეკრულებების ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველზე, რაც ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით იძლევა მნიშვნელოვანი ზეგავლენის განხორციელების საშუალებას, კერძოდ:

ა) ეკონომიკური აგენტის მთელი აქტივების ან მათი ნაწილის ფლობის ან გამოყენების უფლების მეშვეობით;

ბ) უფლებების, ხელშეკრულებების ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობების მეშვეობით, რომელიც იძლევა ეკონომიკურ აგენტთა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებზე გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენის საშუალებას.

3. კონტროლის მოპოვება ხდება ფიზიკური ან იურიდიული პირის ან იმ პირთა ჯგუფის მიერ, რომელიც:

ა) წარმოადგენს უფლების მფლობელს, ხელშეკრულების მიმღებს ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობის მხარეს;

ბ) მიუხედავად იმისა, რომ არ წარმოადგენს „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მხარეს, გააჩნია უფლება, ისარგებლოს მათგან გამომდინარე უფლებებით[6].

საერთაშორისო პრაქტიკა ითვალისწინებს კონცენტრაციის *ex-ante* (წინასწარ) და *ex-post* (შემდგომ)[7] რეგულირებებს.
ex-ante რეგულირების შემთხვევაში სავალდებულოა კონცენტრაციის შესახებ წინასწარი შეტყობინების მიწოდება კონკურენციის სააგენტოსათვის, ხოლო *ex-post* რეგულირების შემთხვევაში არ მოითხოვება ამგვარი წინასწარი შეტყობინება.

კონცენტრაციის შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილებების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით კონცენტრაციების უმეტესობა დამტკიცებულია პირველივე ფაზაში, ყოველგვარი შემზღუდავი ვალდებულების დაწესების გარეშე[8].

---

[6] *Council Regulation (EC) No 139/2004 of 20 January 2004 on the control of concentrations between undertakings (the EC Merger Regulation)*

[7] *კონცენტრაცია ex-post რეგულაციის მიხედვით გამოიყენება ლუქსემბურგში, სადაც წინასწარი შეტყობინება კონცენტრაციის თაობაზე მარეგულირებელი სააგენტოსათვის არ მოითხოვება. ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, პოტენციურად დაზარალებულ პირს საშუალება აქვს გაასაჩივროს მარეგულირებელ სააგენტოში ან სასამართლოში (წყარო: www.concurrences.com)*

[8] *ევროკომისიის გადაწყვეტილებების სტატისტიკური მონაცემები: შერწყმების 89% მტკიცდება პირველ ფაზაში (ყოველგვარი შემზღუდავი ვალდებულების გარეშე); შერწყმების 5% მტკიცდება მეორე ფაზაში (ცალკეული შემზღუდავი ვალდებულებების დაწესებით); შერწყმების მხოლოდ 0,3% იკრძალება; შერწყმების დაახლოებით 5,7% არის შესწავლის პროცესში (წყარო: www.ec.europa.eu)*

საქართველო გამოიყენებს კონცენტრაციების *ex-ante* რეგულირებას არალიბერალურ სექტორებში, სადაც კონცენტრირების შესაძლებლობა შედარებით მაღალია.

კონცენტრაციების *ex-post* რეგულირებისას კონკურენციის ჩარჩო კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ნებაყოფლობითი შეტყობინების შესაძლებლობა იმ ეკონომიკური აგენტებისათვის, რომლებმაც შეიძლება კონცენტრაციის შედეგად მოიპოვონ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა.

ლიბერალურ სექტორებში მიზანშეწონილია კონცენტრაციების ex-post რეგულირების შემოღება საქართველოს ეკონომიკის მცირე მასშტაბებიდან და, ფრაგმენტულობიდან გამომდინარე, სადაც საწარმოთა უმრავლესობა მცირე და საშუალო ზომისაა. შესაბამისად, დომინირებული მდგომარეობის მოპოვებისა და ბოროტად გამოყენების რისკები კონცენტრაციის შემთხვევაში უმნიშვნელოა და არ საჭიროებს აკრძალვებს. აღნიშნულ მიდგომას ამყარებს ევროკავშირის სტატისტიკა და უახლესი პრაქტიკაც.

კონკურენციის ჩარჩო კანონით განისაზღვრება კონცენტრაციის შედეგად დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღმკვეთი ზომები.

კონკურენციის სააგენტო განიხილავს საქმეს დაზარალებული მხარის არსებობის შემთხვევაში. კანონმდებლობა, ასევე გაითვალისწინებს კონცენტრაციის დროს სამართლებრივი სიცხადის საკითხებს.

4.1.5. შემზღუდავი შეთანხმებები, შეთანხმებული ქმედებები და ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებები

TFEU განმარტავს, რომ:

1. აკრძალულია ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებები, მიღებული გადაწყვეტილებები და შეთანხმებული ქმედებები, რომლებიც გავლენას ახდენენ წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე და, რომელთა მიზანს წარმოადგენს კონკურენციის დარღვევა ან/და შეზღუდვა საერთო ბაზარზე, კერძოდ:

- პირდაპირ ან არაპირდაპირ ადგენს ყიდვა-გაყიდვის ფასებს ან სხვა სავაჭრო პირობებს
- ზღუდავს ან კონტროლის ქვეშ აქცევს წარმოებას, ტექნიკურ განვითარებას ან საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას
- ანაწილებს ბაზარს ან მიწოდების წყაროებს
- აწესებს დისკრიმინაციულ პირობებს სხვადასხვა პარტნიორებთან ეკვივალენტური ტრანზაქციისას, რაც მათ კონკურენტულად წამგებიან მდგომარეობაში აყენებს
- მეორე მხარისათვის ხელშეკრულებების წინაპირობად აწესებს ისეთ დამატებით ვალდებულებებს, რომლებსაც კომერციული თვალსაზრისით არ გააჩნიათ რაიმე კავშირი ამგვარ ხელშეკრულებებთან.

2. ნებისმიერი შეთანხმება ან გადაწყვეტილება, რომელიც იკრძალება პირველი პუნქტით, ჩაითვლება ბათილად.

3. პირველი პუნქტის დებულებები არ გამოიყენება ეკონომიკურ აგენტებს შორის იმ შეთანხმებების, მათი გადაწყვეტილებების, შეთანხმებული ქმედებების მიმართ, რომლებიც ხელს უწყობს წარმოებას ან საქონლის მიმოქცევას, ტექნიკურ ან ეკონომიკურ პროგრესს, და ამასთანავე, მომხმარებელს სთავაზობს სარგებლის სამართლიან წილს და რომლებიც:

- ეკონომიკურ აგენტებს არ უწესებს ისეთი შეთანხმების პირობებს, რომლებიც არ არის უშუალოდ დაკავშირებული აღნიშნული მიზნების მიღწევასთან
- საშუალებას არ აძლევს ეკონომიკურ აგენტებს, აღკვეთონ კონკურენცია პროდუქციასთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით[9].

კონკურენციის ჩარჩო კანონი გამოიყენებს შემზღუდავი შეთანხმებების, შეთანხმებული ქმედებებისა და ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებების განმარტებას ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.

კონკურენციის ჩარჩო კანონი განსაზღვრავს შემზღუდავ შეთანხმებებს, როგორც უკანონო შეთანხმებებს კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომლებიც:

- აწესებენ ან ზრდიან ფასებს კოორდინირებული ქმედებების შედეგად
- ზღუდავენ მიწოდებას წარმოების ან გაყიდვების შემცირებით
- მიზანმიმართულად იყოფენ ბაზარს ან მომხმარებელს

---

[9] *TFEU, მუხლი 101*

კონკურენციის ჩარჩო კანონი, ასევე განსაზღვრავს შემზღუდავ შეთანხმებებს, როგორც უკანონო შეთანხმებებს ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომლებიც მოქმედებენ საქონლის ან მომსახურების წარმოების და მიმოქცევის ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე და რომლებიც:

- აწესებენ შეზღუდვებს მიმწოდებელზე, ან
- აწესებენ შეზღუდვებს მყიდველებზე (ვერტიკალური შეზღუდვა).

შემზღუდავი შეთანხმებები უნდა ჩაითვალოს ბათილად მათი აღმოჩენის ან გამოვლენის შემთხვევაში.

საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად შემზღუდავი შეთანხმებები, ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებები და შეთანხმებული ქმედებები აკრძალულია. თუმცა სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობით არსებობს გამონაკლისები ზოგადი წესიდან, რომლებიც შეესაბამებიან TFEU-ს მიერ დადგენილ რეგულირებებს. 2004 წელს, რეფორმის შედეგად, TFEU-ს 101-ე მუხლის მე-3 პუნქტი გახდა უფრო განზოგადებული და გაიზარდა გამონაკლისები აკრძალვებიდან. გამონაკლისები ცნობილია, როგორც გამონაკლისთა ჯგუფი.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ევროკავშირის რეგულაციები (კომისიის რეგულაცია №2790/1999, 1999 წლის 22 დეკემბერი, სადამფუძნებლო ხელშეკრულების 81(3) მუხლის გამოყენების შესახებ ვერტიკალური შეთანხმებებისა და შეთანხმებული ქმედებების მიმართ; კომისიის რეგულირება №2658/2000, 2000 წლის 29 ნოემბერი, ხელშეკრულების 81(3) მუხლის გამოყენების შესახებ სპეციალიზებული შეთანხმებების მიმართ)

განსაზღვრავს გამონაკლისებს აკრძალული ვერტიკალური და ჰორიზონ-ტალური შეთანხმებებიდან.

კონკურენციის ჩარჩო კანონი განმარტავს გამონაკლისთა ჯგუფის კრი-ტერიუმებს, როგორც ეს მოცემულია TFEU-სა და მის შესაბამის რეგუ-ლაციებში. კანონქვემდებარე აქტებით გამონაკლისთა ჯგუფი უფრო დე-ტალურად განისაზღვრება.

შემზღუდავი შეთანხმებები და ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტი-ლებები არ ჩაითვლება კონკურენციის შემზღუდავად, თუ ისინი ხელს უწყობენ:

- საქონლის და მომსახურების წარმოებას და მიმოქცევას
- ტექნიკურ და ეკონომიკურ პროგრესს და იმავდროულად მომხმარებ-ლებს სთავაზობს სარგებლის სამართლიან წილს.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებობს აკრძალვებიდან რიგი გამონაკლისები. პირველ რიგში, მცირე მნიშვნელობის შემზღუდველი შეთანხმებები არ ხვდებიან რეგულირების მოქმედების ქვეშ. შეთანხმება ჩაითვლება მცირე მნიშვნელობის მქონედ, თუ მონაწილე ეკონომიკური აგენტების საერთო წილი არ აღემატება შესაბამისი ბაზრის 10%-ს[10], გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ მიზანს წარმოადგენს:

- კონკურენტთა შორის ყიდვა-გაყიდვის ფასების პირდაპირი ან არაპირ-დაპირი დაწესება

---

[10] *Commission Notice Guidelines on Vertical Restraints (2000/C91/01)*

- კონკურენტებს შორის ბაზრის გაყოფა.

მცირე მნიშვნელობის შემზღუდველი შეთანხმებები აკრძალულია იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი შეთანხმებების ჯამური შედეგი იწვევს ბაზარზე კონკურენციის მნიშვნელოვნად შეზღუდვას.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით ხელშეკრულებების გარკვეული კატეგორიები შეიძლება განისაზღვროს, როგორც გამონაკლისი საერთო შეზღუდვიდან. ასეთი გამონაკლისების დადგენისას საქართველოს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს კანონით განსაზღვრული კრიტერიუმები. კერძოდ, შეთანხმებები არ იქნება აკრძალული, თუ:

- ხელს უწყობენ საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და მიწოდების სათანადო ორგანიზებას, ტექნიკურ და ეკონომიკურ პროგრესს, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას, ან გარემოს დაცვას
- მომხმარებელს სთავაზობენ სარგებლის სამართლიან წილს
- ისინი არ ქმნიან იმის შესაძლებლობას, რომ კონკურენცია გამოირიცხოს შესაბამისი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის მიმართ
- კომპეტენტური ორგანო ჩათვლის, რომ ხელშეკრულება საბოლოო ჯამში საზოგადოებისთვის სასარგებლოა.[11]

ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყნებში აკრძალვა არ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლების ან მათი გაერთიანებების იმ შეთანხმებებზე, გადაწყვეტილებებსა და შეთანხმებულ ქმედებებზე, რომ-

---

[11] *Guidelines on the Application of Article 81(3) of the Treaty (2004/C 101/08)*

ლებიც ეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას ან გაყიდვას, ან მოწყობილობებისა და ინფრასტრუქტურის საერთო გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი შეთანხმებების, შეთანხმებული ქმედებების ან გადაწყვეტილებების შედეგად კონკურენცია მნიშვნელოვნად იზღუდება.

4.1.6. სახელმწიფო დახმარება

ევროკავშირის კანონმდებლობა განსაზღვრავს სახელმწიფო დახმარებას, როგორც ნებისმიერ დახმარებას, რომელიც გაცემულია წევრი ქვეყნების სახელმწიფო რესურსებიდან ნებისმიერი ფორმით და:

- ახდენს მიმღების ეკონომიკურ წახალისებას
- გაცემულია შერჩევითი პრინციპით კონკრეტული ფირმების ან კონკრეტული საქონლის წარმოებისათვის
- შეიძლება შეზღუდოს კონკურენცია და
- გავლენას ახდენს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე.[12]

კონკურენციის ჩარჩო კანონით სახელმწიფო დახმარება განიმარტება ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.

მოქმედი კანონი ,,თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ ძირითადად ორიენტირებულია სახელმწიფო დახმარებაზე. სახელმწიფო დახმარების ნებისმიერი ფორმა, რომელიც ზღუდავს ან საფრთხეს უქმნის

---

[12] *TFEU, მუხლი 107*

კონკურენციას, იკრძალება, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, კერძოდ: სახელმწიფო დახმარება დასაშვებია ფორსმაჟორის შემთხვევაში, გარკვეული ეკონომიკური საქმიანობის ან ეკონომიკური ზონის განვითარების ან/და კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით.

ევროკავშირის რეგულაციების და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პრაქტიკის შესაბამისად, მოქმედებს სახელმწიფო დახმარების *ex-ante* რეგულირება, რაც ნიშნავს იმას, რომ წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ევროკომისიას წინასწარ შეატყობინონ დაგეგმილი სახელმწიფო დახმარების თაობაზე. დაუშვებელია სახელმწიფო დახმარების გაცემა კომისიის თანხმობის გარეშე. თუ სახელმწიფო დახმარების გამცემი დაარღვევს კომისიის გადაწყვეტილებას, კომისიას აქვს სასამართლოში გასაჩივრების უფლება.

ევროკავშირის რეგულირება განმარტავს[13] *de minimis* (მცირე მნიშვნელობის) სახელმწიფო დახმარებას, როგორც ერთ საწარმოზე გაცემულ სახელმწიფო დახმარებას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 200 000 ევროს სამი წლის მანძილზე. ეს ზღვარი მოქმედებს დახმარების ფორმის ან მიზნის მიუხედავად.

---

[13] *Commission Regulation (EC) No 69/2001 of 12 January 2001 on the application of Articles 87 and 88 of the EC Treaty to de minimis aid*

De minimis სახელმწიფო დახმარება არ ექვემდებარება ევროკომისი-ისათვის წინასწარ შეტყობინებას (TFEU-ს 108(3) მუხლი).

კომისიის რეგულაცია,[14] ასევე განმარტავს სახელმწიფო დახმარების გაცე-მის ზოგადი წესებიდან გამონაკლისებს. კომისიას შეუძლია დაადგინოს, რომ დახმარების შემდეგი კატეგორიები შეესაბამება საერთო ბაზარს და არ უნდა დაექვემდებაროს TFEU-ს 113(3) მუხლის მოთხოვნებს:

- დახმარება გაცემულია:
- მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე
- კვლევისა და განვითარებისათვის
- გარემოს დაცვისათვის
- დასაქმებისა და ტრენინგისათვის
- რეგიონალური დახმარება, რომელიც დამტკიცებულია კომისიის მიერ თითოეული წევრი სახელმწიფოსათვის.

ევროკომისიის თანხმობის მიღება არ არის აუცილებელი აღნიშნული სახელმწიფო დახმარებების გაცემისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კონკურენციის ჩარჩო კანონით წინასწარ შეტყობინებას არ დაექვემდებარება:

- *de minimis* სახელმწიფო დახმარება
- ჩარჩო კანონით განსაზღვრული გამონაკლისთა ჯგუფი

---

[14] *Council Regulation (EC) No 994/98 of 7 May 1998 on the application of Articles 92 and 93 of the Treaty establishing the European Community to certain categories of horizontal state aid*

კონკურენციის ჩარჩო კანონში აისახება სახელმწიფო დახმარებასთან დაკავშირებული მთავარი პრინციპები და მათი გაცემის პროცედურების ზოგადი წესები. კონკურენციის ჩარჩო კანონის შესაბამისად, სახელმწიფო დახმარების გამცემმა პირმა (მაგ. სახელმწიფო ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც სახელმწიფო დახმარებას გასცემენ სახელმწიფოს სახელით და ა.შ.) უნდა დაასაბუთოს სახელმწიფო დახმარების გაცემის საჭიროება, მისი ფორმა და ბენეფიციარები, და კონკურენციის სააგენტოს უნდა წარუდგინოს შეტყობინება. სახელმწიფო დახმარების გამცემმა, ასევე უნდა წარადგინოს შესაბამისი ბაზრის ანალიზი და შეფასება, რათა დაასაბუთოს კონკურენციის შეზღუდვის უმნიშვნელო ხასიათი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მისაღები სახელმწიფო დახმარებით გამოწვეული დადებითი მხარეები და შეზღუდვები. ამ შეფასების საფუძველზე კონკურენციის სააგენტომ უნდა შეამოწმოს მიწოდებული დოკუმენტაციების ნამდვილობა და სისწორე.

თუ კონკურენციის სააგენტოს გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი წარდგენილ დოკუმენტებთან დაკავშირებით ან ჩათვლის, რომ სახელმწიფო დახმარების გაცემა ზიანს მიაყენებს თავისუფალ და სამართლიან კონკურენციას, სააგენტო მიმართავს საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციებით. საქართველოს მთავრობამ უნდა განიხილოს კონკურენციის სააგენტოს მიერ მიწოდებული რეკომენდაციები და მიიღოს გადაწყვეტილება.

თუ გაცემული სახელმწიფო დახმარება მნიშვნელოვნად ზღუდავს კონ-კურენციას, დაინტერესებულ მხარეებს უფლება ექნებათ, მიმართონ სასა-მართლოს.

4.1.7. შესაბამისი ბაზარი

ევროკავშირის კანონმდებლობა შეიცავს შესაბამისი ბაზრის შემდეგ დეფი-ნიციას:

- **შესაბამისი გეოგრაფიული ბაზარი** - მოიცავს იმ არეალს, სადაც ხდება საქონლის ან/და მომსახურების მიწოდება და მოთხოვნა, სადაც კონკუ-რენციის პირობები მნიშვნელოვნად ერთგვაროვანია და რომელიც შეიძ-ლება გამოცალკევებულ იქნეს მეზობელი არეალიდან კონკურენციის შე-სამჩნევად განსხვავებული პირობების არსებობის გამო
- **შესაბამისი სასაქონლო ბაზარი** – შედგება იმ საქონლის ან/და მომსა-ხურებისაგან, რომელთა ერთმანეთში ჩანაცვლება შეუძლია მომხმარე-ბელს, პროდუქტის მახასიათებლებიდან, ფასისა და დანიშნულებიდან გამომდინარე. [15]

შესაბამისი გეოგრაფიული ბაზრის განმარტება შეიძლება იყოს ადგი-ლობრივი, ეროვნული, საერთაშორისო, ან სულაც გლობალური, და შეიძ-ლება ითვალისწინებდეს კონკრეტულ პროდუქტს, პროდუქტის მიწო-დების ალტერნატიულ მახასიათებლებს, სპეციფიკური ფაქტორების არსე-

---

[15] *COMMISSION NOTICE on the definition of relevant market for the purposes of Community competition law (97/C 372/03)*

ბობას ან არარსებობას (მაგ. ტრანსპორტირების ღირებულება, ტარიფები, ან სხვა მარეგულირებელი ბარიერები და ზომები, რომლებიც ზღუდავს იმპორტს ადგილობრივ ბაზარზე) .

საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად შესაბამისი ბაზრის განმარტება ითვალისწინებს შესაბამისი ბაზრის როგორც გეოგრაფიულ არეალს, ისე ურთიერთჩანაცვლებად საქონელს/მომსახურებას. შესაბამისი ბაზარი, ღია ეკონომიკის პირობებში, არ არის სავალდებულო, ემთხვეოდეს სახელ-მწიფო საზღვრებს. შესაბამისი ბაზარი უნდა მოიცავდეს ყველა საჭირო ურთიერთჩანაცვლებად საქონელს/მომსახურებას და ყველა პოტენციურ კონკურენტს, რომელთაც მომხმარებელმა შესაძლოა მიმართოს დროის მოკლე მონაკვეთში.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები შესაბამისი ბაზრის განმარტებისას ითვალისწინებენ ურთიერთჩანაცვლებად საქონელს/მომსახურებას, რომ-ლებიც ექვემდებარებიან შეთანხმებებს და გეოგრაფიულ არეალს, რომლის გარეთაც:

- მომხმარებელს არ შეუძლია საქონლის შეძენა ან მათი შეძენა შეუძლია ნაკლებად სარგებლიანი პირობებით; ან
- საქონლის გამყიდველს არ შეუძლია საქონლის გაყიდვა, ან შეუძლია გაყიდვა ნაკლებ სარგებლიანი პირობებით.

ურთიერთჩანაცვლებადი საქონელი უნდა იქნეს შეფასებული დანიშნუ-ლების, ფასის, ხარისხისა და სამომხმარებლო პირობების გათვალის-წინებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კონკურენციის ჩარჩო კანონი შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას იხელმძღვანელებს შემდეგით:

- საქართველო შედარებით პატარა ბაზარია ღია ეკონომიკით. ამიტომ კანონი შესაბამისი ბაზრის განმარტებისას არ უნდა იზღუდებოდეს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიით. საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები (FTA) ყველა მოსაზღვრე მეზობელთან. აქედან გამომდინარე, ცალკეულ შემთხვევებში მოსაზღვრე ბაზარი ან მისი ნაწილი უნდა ჩაითვალოს სამეზობლო არეალად იმ პირობით, რომ კონკურენციის პირობები მნიშვნელოვნად ერთგვაროვანია
- შესაბამისი ბაზრის მოქნილი განმარტება იქნება შემოღებული, რომელიც გაითვალისწინებს გეოგრაფიულ არეალთან ერთად ურთიერთჩანაცვლებად საქონელს/მომსახურებას. ცალკეული შემთხვევებისათვის, შესაბამისი ბაზრის განმარტება მოხდება საქმის არსიდან გამომდინარე
- შესაბამისი ბაზრისა და დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი. დაუკვირვებადი ეკონომიკა მოიცავს არაფორმალურ წარმოებას, რომელიც არ არის დაფიქსირებული რეგულარული სტატისტიკური კვლევებით, კერძოდ, საოჯახო წარმოება საკუთარი მოხმარებისთვის ან ეკონომიკური ქმედებები გაყიდვის მიზნით, რომელსაც ახორციელებენ არაკორპორირებული საწარმოები საოჯახო წარმოების სექტორში და, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი, ან არიან პატარა ზომის, თუმცა, მათმა ერთობლივმა საბაზრო წილმა შეიძლება მნიშვნელოვანი

გავლენა მოახდინოს ბაზარზე[16]. დაუკვირვებადი ეკონომიკა ასევე მოიცავს იმ დარეგისტრირებული საწარმოების საქმიანობას, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან და, ამგვარად, მათი საქმიანობის ტიპი ვერ აისახება რეგულარულ სტატისტიკურ კვლევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუკვირვებადი ეკონომიკა არ არის ჩრდილოვანი ეკონომიკა (იმდენად, რამდენადაც იგი მოიცავს ლეგალურ საქმიანობას, მაგალითად, საოჯახო მეურნეობათა საქმიანობას). სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური პერიოდულად ატარებს სპეციალურ კვლევებს, რათა განსაზღვროს დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი სხვადასხვა სექტორებში. კონკურენციის სააგენტოს შეუძლია გამოიყენოს სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევები დაუკვირვებადი ეკონომიკის შესახებ ან თავად დაუკვეთოს კონკრეტული კვლევა საჭიროებიდან გამომდინარე. კონკურენციის ჩარჩო კანონში ჩაიდება პრინციპი, რომ შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას დაუკვირვებადი ეკონომიკა უნდა იქნეს გათვალისწინებული, ასეთის არსებობის შემთხვევაში. კანონქვემდებარე აქტებით დეტალურად იქნება განსაზღვრული დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოყენების პირობები.

4.2. კონკურენციის სააგენტოს ინსტიტუციური რეფორმა

ინსტიტუციური რეფორმა გამოხატავს საქართველოს მთავრობის ნებას განახორციელოს კონკურენციის სფეროს ფუნდამენტური რეფორმა.

---

[16] *ეს კონცეფცია ეფუძნება დეფინიციას, რომელიც წარმოდგენილია OECD სახელმძღვანელოში "Measuring the Non-observed Economy", არაკანონიერი ქმედებების გამორიცხვით*

რეფორმის მიზანს წარმოადგენს კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებ-ლობისა და ადეკვატური უფლებამოსილების უზრუნველყოფა, სააგენტოს ადმინისტრაციული რესურსების გაძლიერება და მისი ფუნქციონირების გაუმჯობესება გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის ამაღლების გზით.

4.2.1. ინსტიტუტები

ევროკავშირის რეგულაციები საკმარის სივრცეს ტოვებს უფლებამოსილი ორგანოს ინსტიტუციური მოწყობისათვის. ევროკავშირის წევრ სახელ-მწიფოებში არსებობს მრავალი მოდელი. მიღებული პრაქტიკის შესა-ბამისად კონკურენციის სააგენტოს უნდა გააჩნდეს კონკურენციის დაცვის უფლებამოსილება ეკონომიკის ყველა სექტორში. რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია უფლებამოსილების გადანაწილება უფლებამოსილ ორგა-ნოებს შორის, მაგალითად, როგორიცაა არალიბერალური სექტორების შესაბამისი მარეგულირებლები.

საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად კონკურენციის სააგენტო შეიძ-ლება იყოს კვაზი-ავტონომიური ან მთავრობისაგან დამოუკიდებელი. თუ კონკურენციის სააგენტო კვაზი-ავტონომიურია, იგი წარმოადგენს სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების, სამინისტროების და ა.შ. ნაწილს.

საქართველოს შემთხვევაში, ევროკავშირის რეკომენდაციაა სათანადოდ დამოუკიდებელი კომპეტენციის მქონე სააგენტოს ჩამოყალიბება. საქარ-

თველოს მთავრობამ გადაწყვიტა ჩამოაყალიბოს კონკურენციის სააგენტო ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით. შედეგად:

- კონკურენციის სააგენტო იქნება სათანადოდ დამოუკიდებელი
- კონკურენციის სააგენტოს ექნება კონკურენციის აღსრულების უფლება-მოსილება ეკონომიკის ყველა სექტორში

იმისთვის, რომ კონკურენციის სააგენტო იყოს სათანადოდ დამოუკიდებელი, ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ დაიწყო სამსაფეხურიანი რეფორმა:

- დამოუკიდებელი კონკურენციის სააგენტოს ჩამოყალიბება
- კონკურენციის სააგენტოსათვის შესაბამისი უფლებამოსილებების მინიჭება
- ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება და ინსტიტუციური განვითარება

კონკურენციის პოლიტიკის რეფორმის ზემოაღნიშნული საფეხურები ასახულია კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის სამოქმედო პროგრამაში (იხ. დანართი).

2010 წლის იანვარ-თებერვალში მომზადდა ,,თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი. ამ ცვლილებების მიზანს წარმოადგენდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებიდან გამოყვანა და ახალი

დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ჩამოყალიბება. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების (2010 წლის 26 თებერვალი) საფუძველზე შეიქმნა ახალი დამოუკიდებელი სსიპ – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო.

კონკურენციის სფეროში რეფორმის პირველი საფეხურის შედეგად მიღწეულ იქნა შემდეგი:

- სააგენტო აღარ წარმოადგენს რომელიმე სახელმწიფო ორგანოს საქვეუწყებო დაწესებულებას
- სააგენტო ჩამოყალიბებულია ისეთი სამართლებრივი ფორმით (როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი), რომელიც უზრუნველყოფს მის როგორც ფინანსურ, ისე გადაწყვეტილებების მიღების დამოუკიდებლობას.

რეფორმის შემდგომი საფეხური მოიცავს საქართველოს მთავრობის მიერ აუცილებელი სამართლებრივი და საიმპლემენტაციო ზომების მიღებას სამოქმედო პროგრამის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობა, გაძლიერდეს ადმინისტრაციული შესაძლებლობები, გაუმჯობესდეს მისი ფუნქციონალურობა გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის კუთხით, გააჩნდეს ადეკვატური ძალაუფლება. ამჟამად მიმდინარეობს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებების პროექტზე მუშაობა.

კონკურენციის სფეროში რეფორმის მეორე საფეხურზე მიღწეულ იქნება შემდეგი:

- კონკურენციის სააგენტო იქნება დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ვერც აღმასრულებელი და ვერც საკანონმდებლო ხელისუფლება ვერ შეძლებს მის საქმიანობაში ჩარევას და კონკურენციის აღსრულებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხ-დენას. კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების შეცვლა ან გაუქმება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სასამართლოს მიერ
- კონკურენციის სააგენტოს ექნება საქმის შესწავლის უფლებამოსილება
- კონკურენციის სააგენტოს მენეჯმენტის მდგრადობა მიიღწევა მენეჯ-მენტის ფიქსირებული ვადით დანიშვნით
- ერთადერთი ინსტიტუტი, რომელსაც საშუალება ექნება განახორცი-ელოს ფინანსური კონტროლი კონკურენციის სააგენტოს საქმიანობაზე, იქნება საქართველოს კონტროლის პალატა. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ გავრცელდება კონკურენციის სააგენტოს მენეჯმენტზე.

ევროკავშირის რეკომენდაციების თანახმად კონკურენციის სააგენტოს ექნება კონკურენციის აღსრულების უფლებამოსილება ეკონომიკის ყველა სექტორში, მათ შორის, არალიბერალურ სექტორებში, მაგალითად, ენერ-გეტიკა, გაზი, წყალმომარაგება, ელექტრონული კომუნიკაციები. ამ მიზ-ნით კონკურენციის სააგენტო იქნება ერთადერთი პასუხისმგებელი უწყება კონკურენციის აღსრულებაზე ყველა სექტორში. კონკურენციის სააგენტო შეითავსებს არსებული სექტორული მარეგულირებლის ფუნქციებს კონ-კურენციის სფეროში.

შესაბამისად, ცვლილებები უნდა შევიდეს ყველა სექტორულ კანონში, რათა შესაბამისობაში მოვიდეს კონკურენციის ჩარჩო კანონთან.

წარმოდგენილი ინსტიტუციური მოდელის შედეგად:

- თავიდან იქნება აცილებული კონკურენციის აღსრულების სფეროში სხვადასხვა ინსტიტუტების კომპეტენციების დუბლირება ან გადაფარვა
- იარსებებს ერთიანი კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების ორგანო ეკონომიკის ყველა სექტორში.

კონკურენციის სააგენტოს მიზანი იქნება, ხელი შეუწყოს ეფექტურ კონკურენციას საჯარო სექტორში და უზრუნველყოს სახელმწიფო შეს-ყიდვების ეფექტურობა საზოგადოებისა და ბაზარზე მონაწილე ეკონო-მიკურ აგენტთა სასარგებლოდ. ამრიგად, კონკურენციის სააგენტო იქნება სახელმწიფო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენციის დაცვას და ზედამხედველობას გაუწევს სახელმწიფო შესყიდვებს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კონკურენციის სააგენტო პასუხისმგებელი იქნება:

- კონკურენციის აღსრულებაზე ეკონომიკის ყველა სექტორში
- სახელმწიფო დახმარების რეგულირებაზე
- სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მონიტორინგზე

კონკურენციის აღსრულების უფლებამოსილება იქნება კონკურენციის სააგენტოს ექსკლუზიური უფლებამოსილება და არ იქნება განაწილებული არალიბერალური სექტორების სექტორულ მარეგულირებლებთან.

კონკურენციის ჩარჩო კანონი გაითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

- დისკრიმინაციის დაუშვებლობა
- თანასწორობა
- საჯაროობა
- პროპორციულობა
- ანგარიშვალდებულება

კონკურენციის ჩარჩო კანონმა უნდა განსაზღვროს კონკურენციის სააგენტოს მენეჯმენტის სტრუქტურა. კონკურენციის სააგენტოს საქმიანობა უნდა განხორციელდეს საბჭოს და შესაბამისი პალატების/დეპარტამენტების მიერ. საბჭო შედგება კომისიონერებისაგან, რომლებიც დანიშნული იქნებიან განსაზღვრული ვადით. კომისიონერების დანიშვნის გამჭვირვალობა განისაზღვრება ჩარჩო კანონით.

გადაწყვეტილებები მიღებული იქნება კომისიონერების საბჭოს კრებაზე. საბჭოს კრებას ექნება უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება კომისიონერების უმრავლესობის დასწრების შემთხვევაში.

კონკურენციის სააგენტოს ადმინისტრაციულ მენეჯმენტს განახორციელებს აღმასრულებელი მდივანი. აღმასრულებელი მდივანი არ იქნება კომისიონერი და მონაწილეობას არ მიიღებს ხმის მიცემისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. აღმასრულებელი მდივანი და მისი დამხმარე პერსონალი პასუხისმგებელი იქნებიან საბჭოს შეხვედრების

ორგანიზებასა და დაწესებულების საქმიანობის ყოველდღიურ მენეჯ-მენტზე.

4.2.2. აღსრულება

საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად კონკურენციის აღსრულებისათვის გამოიყენება როგორც ინტეგრირებული, ისე განცალკევებული სისტემები. განცალკევებული სისტემის შემთხვევაში საქმის შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღების/აღმასრულებელი უფლებამოსილება იყოფა სხვადასხვა ორგანოებს შორის. კერძოდ, კონკურენციის სააგენტოს გააჩნია საქმის შესწავლის უფლებამოსილება, მაშინ, როდესაც ძირითადი გადაწყვეტილებების მიღებისა და სანქციების დაწესების უფლება წარმოადგენს სასამართლოს პრეროგატივას[17].

ინტეგრირებული სისტემის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია სანქციის დაწესების უფლებამოსილების დელეგირება კონკურენციის სააგენტოზე[18].

---

[17] *მალტაში სანქციის დაწესება არ წარმოადგენს ეროვნული კონკურენციის სააგენტოს კომპეტენციას, სანქციებს ადგენს მაგისტრატთა სასამართლო აღსრულების პოლიციის მიერ ბრალდების წაყენების შემდგომ*

[18] *დანიაში კონკურენციის სააგენტო გამოსცემს ბრძანებებს, თუმცა არა აქვს საშუალება, დააწესოს ჯარიმები, ეს შედის სასამართლოების კომპეტენციაში. რიგ პრეცედენტულ შემთხვევებში კონკურენციის სააგენტოს შეუძლია დააწესოს ადმინისტრაციული ჯარიმა*

სტრატეგიის ხედვაა კონკურენციის სააგენტოსათვის საქმის შესწავლის უფლებამოსილების მინიჭება, ხოლო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ექნება სასამართლოს.

ა. კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილება

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კონკურენციის სააგენტოს ექნება შემდეგი უფლებამოსილებები:

- შეისწავლოს საქმე წარდგენილი საჩივრის ან განცხადების საფუძველზე
- მოითხოვოს ინფორმაცია კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოებიდან და დაინტერესებული მხარეებისაგან, ასევე მოითხოვოს და მიიღოს მტკიცებულებები წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით
- მოითხოვოს დოკუმენტაცია მონაწილე მხარეებისაგან
- ჩაატაროს ადგილზე შემოწმება
- მიმართოს სასამართლოს, თუ საქმის შესწავლის შედეგად გამოვლინდება კონკურენციის კანონის დარღვევა
- დააწესოს ადმინისტრაციული ჯარიმები იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური აგენტი არ აწვდის შესაბამის ინფორმაციას
- შეტყობინება გაუგზავნოს საქართველოს მთავრობას საჯარო და კერძო სექტორებში ეფექტიანი კონკურენციის ხელისშემშლელი ფაქტორების შესახებ
- რეკომენდაცია გაუწიოს საქართველოს მთავრობას ბაზარზე შესვლის სამართლებრივი ბარიერების გაუქმებაზე

- რეკომენდაცია გაუწიოს საქართველოს მთავრობას, გააუქმოს ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, თუ ისინი ზღუდავენ კონკურენციას
- საქართველოს მთავრობას განსახილველად გადასცეს ინფორმაცია სახელ-მწიფო დახმარების დადგენილი ნორმების დარღვევის შესახებ
- მიმართოს საქართველოს მთავრობას რეკომენდაციით, თუ ჩათვლის, რომ სახელმწიფო დახმარება მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას
- მონიტორინგი და ზედამხედველობა გაუწიოს სახელმწიფო შესყიდვების პროცესის შესაბამისობას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართვე-ლოს კანონთან
- უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების პროცესის კონკურენტულობა
- მოიწვიოს ექსპერტები კონკურენციის შესაძლო დარღვევის ფაქტების შეს-წავლისას
- მოაწყოს შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან
- მოამზადოს დასკვნები და რეკომენდაციები საჩივართან დაკავშირებულ საკითხებზე
- დაიცვას იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც განეკუთვნება კომერციულ საიდუმლოებას
- დაიცვას იმ პირთა ვინაობა, რომლებიც ინფორმაციას აწვდიან კონკუ-რენციის სააგენტოს, და რომლებიც საჭიროებენ კონფიდენციალობის დაც-ვას ეკონომიკური ზეწოლისაგან თავის დასაცავად.

კონკურენციის ჩარჩო კანონით შეიძლება განისაზღვროს კონკურენციის სააგენტოს სხვა დამატებითი კომპეტენციები, თუ აღნიშნული აუცილე-ბელი იქნება მისი ეფექტიანი მუშაობისათვის.

კონკურენციის სააგენტოს ექნება უფლებამოსილება, შეისწავლოს საჯარო ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია. თუ კონკურენციის სააგენტო ჩათვლის, რომ საქმის შესწავლისას აუცილებელია არასაჯარო ინფორმაციის (მათ შორის, ფინანსური, გაყიდვების, წარმოების ჩანაწერები და ა.შ.) გამოთხოვა, სააგენტომ უნდა მიმართოს სასამართლოს.

კონკურენციის სააგენტოს უფლება ექნება, მიიღოს კონკურენციის შემზღუდავი ქმედების შეწყვეტისა და შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება, თუ კონკურენციის კანონის დარღვევა ზიანს აყენებს ბაზრის მონაწილეებს, ან თუ არსებობს სხვა ეკონომიკური აგენტებისათვის ზიანის მიყენების აშკარა საფრთხე. დროებითი აღმკვეთი/შემზღუდავი ზომების დაწესებისათვის აუცილებელი იქნება სასამართლოს თანხმობა, ზოგადი პროცედურული ნორმების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული შემზღუდავი ზომები განისაზღვრება კონკურენციის ჩარჩო კანონით.

კონკურენციის სააგენტო შეისწავლის საჩივრებს წინასწარ დამტკიცებული პრიორიტეტების შესაბამისად. პრიორიტეტებს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. პრიორიტეტების დამტკიცების პროცედურები განისაზღვრება კონკურენციის ჩარჩო კანონით. პრიორიტეტები შესაძლებელია დაექვემდებაროს გადახედვას.

წინასწარ დამტკიცებული პრიორიტეტები შეიძლება ჩაითვალოს საჩივრების განხილვის სახელმძღვანელოდ. პრიორიტეტები შესაძლებელია

გახდეს საჩივრის/განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძველი. მიუხედავად დამტკიცებული პრიორიტეტებისა, კონკურენციის სააგენ-ტოს ნებისმიერ დროს უნდა შეეძლოს კონკურენციის კანონმდებლობის ყველა შესაძლო სერიოზული დარღვევის განხილვა.

თუ სააგენტო უარს ამბობს საქმის განხილვაზე წინასწარ დამტკიცებული პრიორიტეტების საფუძველზე ან სხვა სამართლებრივი საფუძვლით, ხოლო მოგვიანებით დარღვევას კვლავ ექნება ადგილი, კონკურენციის სააგენტო არ იქნება პასუხისმგებელი კონკურენციის დარღვევის საქმის შესწავლის შესაძლებლობის ხელიდან გაშვებისათვის.

კონკურენციის დარღვევის ფაქტი შესაძლებელია გამოვლინდეს როგორც მომჩივანის, ისე განმცხადებლის საჩივრის ან განცხადების საფუძველზე. მომჩივანი არის პოტენციურად დაზარალებული პირი, რომელსაც უშუ-ალოდ მიადგა ზიანი კონკურენციის დარღვევის გამო. განმცხადებელი კი არის პირი, რომელიც ფლობს ინფორმაციას ან გააჩნია მტკიცებულება კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შესახებ.

როგორც მომჩივანს, ასევე განმცხადებელს უფლება აქვთ, კონკურენციის სააგენტოში შეიტანონ საჩივარი ან განცხადება. განმცხადებელი არ წარ-მოადგენს მხარეს, შესაბამისად, იგი ვერ მიმართავს სასამართლოს.

მომჩივანი წარმოადგენს მხარეს. თუ კონკურენციის სააგენტო უარს იტყვის საჩივრის განხილვაზე, მომჩივანს უფლება აქვს, მიმართოს სასა-მართლოს.

კონკურენციის ჩარჩო კანონი მკაფიოდ განსაზღვრავს მომჩივანს და განმცხადებელს. რაც შეეხება საჩივრისა და განცხადების წარმოებაში მიღებისა და საქმის განხილვის პროცედურებს, ის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს კანონით დადგენილ წინაპირობებს. ეს გამორიცხავს კანონმდებლობის თვითნებურ ინტერპრეტაციას. მტკიცების ტვირთი კანონმდებლობით დაეკისრება მომჩივანს.

კონკურენციის სააგენტოსათვის მიწოდებული ან მის მიერ მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს კომერციულ ან სხვა საიდუმლოებას, იქნება დაცული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ. სასამართლოს უფლებამოსილება

სასამართლოს უფლებამოსილება იქნება:

- განიხილოს საჩივარი კონკურენციის სააგენტოს მიერ საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შემთხვევაში
- მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის საქმეებზე
- კონკურენციის სააგენტოს მიმართვის შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება ადგილზე შემოწმების შესახებ
- შეისწავლოს სახელმწიფო დახმარებასთან დაკავშირებული საჩივარი, თუ გაცემული სახელმწიფო დახმარება ხელს უშლის საბაზრო კონკურენ-

ციას კონკრეტული ბაზრის მონაწილისადმი მნიშვნელოვანი უპირატესობის მინიჭების გზით

- კონკურენციის სააგენტოს მიმართვის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება ეკონომიკური აგენტის კონფიდენციალური დოკუმენტაციის გამოთხოვის თაობაზე
- კონკურენციის სააგენტოს მიმართვის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება დროებითი აღმკვეთი/შემზღუდავი ზომების გამოყენების თაობაზე
- დააწესოს სანქციები და ჯარიმები, გარდა ადმინისტრაციულისა.

კონკურენციის ჩარჩო კანონმა შემდგომში შეიძლება განავრცოს სასამართლოს უფლებამოსილება.

კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის საქმე ხდება სასამართლოს მიერ განხილვადი შემდეგ შემთხვევებში:

- კონკურენციის სააგენტო საქმის შესწავლის შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილებისათვის მიმართავს სასამართლოს. აღნიშნულ შემთხვევაში კონკურენციის სააგენტო სასამართლოში გამოდის, როგორც „სახელმწიფო ბრალმდებელი“
- მომჩივანს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ კონკურენციის სააგენტო უარს იტყვის საჩივრის განხილვაზე. გასაჩივრების უფლება გარანტირებული იქნება კონკურენციის ჩარჩო კანონით.

საქართველოს სასამართლოების სისტემა შედგება სამი დონისაგან, კერძოდ:

- რაიონული (საქალაქო) სასამართლოები წარმოადგენენ პირველი ინსტანციის სასამართლოებს, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე
- სააპელაციო სასამართლოები, რომლებიც იხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებს
- უზენაესი სასამართლო არის საბოლოო ინსტანციის სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლო წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს, რომელიც განიხილავს საკასაციო საჩივრებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

სასამართლოს სამივე ინსტანციაში არსებობს პალატები/კოლეგიები, რომლებიც განიხილავენ:

- სისხლის სამართლის საქმეებს
- სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებს
- ადმინისტრაციულ და სხვა საქმეებს.

სპეციალიზებული სასამართლოების შექმნა ცალსახად დაუშვებელია საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 83, პუნქტი 4). შესაბამისად, გამორიცხულია სპეციალიზებული კონკურენციის სასამართლოს შექმნა.

კონკურენციის საკითხების განხილვის უფლებამოსილება ექნება მხოლოდ ქ. თბილისის სასამართლოს. აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებულია იმით, რომ კონკურენციის საქმეთა თავმოყრა მოხდეს ერთ სასამართლოში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კონკურენციის სფეროში

სათანადო კომპეტენციის, ერთიანი მიდგომისა და სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება.

ქ. თბილისის სასამართლო იქნება პირველი ინსტანციის სასამართლო კონკურენციის საქმეებთან მიმართებაში. რაც შეეხება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმისწარმოებას, იგი წარიმართება ზოგადი საპროცესო ნორმების შესაბამისად და არ იარსებებს რაიმე განსაკუთრებული წესები.

მოსამართლეებს ჩაუტარდებათ ტრენინგი ამ სფეროში ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს მოსამართლეთა სპეციალიზაციას აღნიშნულ სფეროში.

საქმის ადგილზე შესწავლის საჭიროების შემთხვევაში კონკურენციის სააგენტო მოტივირებული შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს.

თუ კონკურენციის კანონის დარღვევა გრძელდება ბაზრის მონაწილეთა საზიანოდ, კონკურენციის სააგენტოს ენიჭება უფლება, მიმართოს სასამართლოს დროებითი აღმკვეთი/შემზღუდავი ზომების დაწესების მოთხოვნით.

სანქციებისა და ჯარიმების სახეები განისაზღვრება ჩარჩო კანონით. კონკურენციის სააგენტოს საშუალება ექნება, დააწესოს ადმინისტრაციულ-პროცედურული ჯარიმები. ყველა სხვა სახის სანქციების დაწესება დარჩება სასამართლოს კომპეტენციაში.

ჯარიმები და სანქციები უნდა იყოს ადმინისტრაციული ან სამოქალაქო. გამორიცხება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გაუქმდება.

ევროკავშირისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა საგადასახადო წლის მთლიანი ბრუნვის 10%-ს.

4.3. ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

DCFTA-ის მოლაპარაკებებში მონაწილე უწყებების ადმინისტრაციული და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების, კონკურენციის სფეროში ევროკავშირის და საერთაშორისო კანონმდებლობისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით საქართველოს მთავრობამ განახორციელა შემდეგი ნაბიჯები:

- GEPLAC-ის დახმარებით ჩატარდა ტრენინგები იმ საჯარო მოხელეთათვის, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მოლაპარაკებების წინამოსამზადებელ პროცესში. 2009 წლის 29 ივლისს სპეციალური ტრენინგი მიეძღვნა კონკურენციის პოლიტიკას, კონკურენციის სფეროში არსებული ევროკავშირის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების უკეთ გააზრების, ცოდნისა და კომპეტენციების გაზიარების მიზნით. სემინარი მიეძღვნა კონკურენციის სფეროში ევროკავშირის პოლიტიკას, მარეგულირებელ და ინსტიტუციურ ჩარჩოს, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ანტიტ-

რასტულ რეგულირებაზე. განხილულ იქნა საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა და შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობა. სემინარი ჩაატარა ესპანელმა იურისტ-ექსპერტმა, ბატონმა ხუან რამონ იტურიაგა-გოიტიამ. მან შეიმუშავა შესაბამისობის ცხრილი, რომელიც მოიცავს 1996 წლის „მონოპოლიისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სამართლებრივ შეფასებას, ასევე 2005 წლის „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ანალიზს, კონკურენციის სფეროში ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების თაობაზე ტექნიკური მიმოხილვის დოკუმენტის შექმნის პროექტის ფარ-გლებში.

- 2009 წლის 10 დეკემბერს GEPLAC-თან თანამშრომლობით ჩატარდა სემინარი კონკურენციის ინსტიტუციურ მოწყობაში ევროკავშირის საუ-კეთესო პრაქტიკის თაობაზე. სემინარს უძღვებოდა შვედი ექსპერტი კრის-ტიან ბლუმე, შვედეთის კონკურენციის სააგენტოს კომუნიკაციებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსი ოფიცერი. ექსპერტის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მოლაპარაკებების მზადებაში წვლი-ლის შეტანა და კონკურენციის პოლიტიკის სფეროში გასატარებელი რეფორმის შემუშავებაში მონაწილეობა, კონკურენციის პოლიტიკის ინს-ტიტუციურ ასპექტებზე სემინარის მოწყობით პროცესში ჩართული მხა-რეებისათვის, მათ შორის, სპეციალური სამუშაო ჯგუფისათვის.
- საქართველოს მთავრობამ მოითხოვა TAIEX-ის ტრენინგები კონკურენ-ციის პოლიტიკასა და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერე-ბის/მოლაპარაკებების უნარ-ჩვევების საკითხებზე.

- 2010 წლის თებერვალში მსოფლიო ბანკმა ჩაატარა ვიდეო-კონფერენცია სათაურით: „დიალოგის ხელშეწყობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მოლაპარაკებების პროცესზე გამოცდილებების გაზიარებისათვის“.
- 2010 წლის მარტში მსოფლიო ბანკმა ჩაატარა ვიდეო-კონფერენცია სახელწოდებით: „სემინარი კონკურენციის პოლიტიკის საკითხებზე ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მოლაპარაკებების პროცესის ფარგლებში“.
- 2010 წლის 18-19 თებერვალს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი დაესწრო OECD-ის მიერ ორგანიზებულ გლობალურ ფორუმს კონკურენციის საკითხებზე.
- 2010 წლის 21-27 თებერვალს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფის და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს GTZ–ის მიერ ორგანიზებულ სამუშაო ვიზიტში, რომელიც მოიცავდა გერმანიის კონკურენციის პოლიტიკის მიმოხილვას.

სპეციალური ტრენინგ-პროგრამა უნდა შემუშავდეს კონკურენციის სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს წინამდებარე სტრატეგიის წარმატებით იმპლემენტაცია. ამასთანავე, სპეციალური ტრენინგ-პროგრამა შემუშავდება მოსამართლეებისათვის.

2010 წლის 25 იანვარს ჩატარდა დონორთა კოორდინაციის მრგვალი მაგიდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფთან ერთად ღონისძიებას ორგანიზება გაუწია სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებ-ში.

მრგვალი მაგიდის მთავარ მიზანს წარმოადგენდა შესაძლო პარტნი-ორებისა და დონორების მოძიება საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მოსამზადებელ და მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობის მისაღებად. მრგვალი მა-გიდის მიზანს წარმოადგენდა კოორდინაციის უზრუნველყოფა, ერთი მხრივ, პროგრამებსა და დახმარების გამწევებს შორის და, მეორე მხრივ, ამ დახმარების მიმღებებს შორის. მრგვალი მაგიდა ორგანიზებულ იქნა საქართველოს მთავრობის შესაბამისი სტრუქტურების და სექტორული ინსტიტუტების მოთხოვნებისა და საჭიროებების თანხვედრისათვის დო-ნორების მიერ შემოთავაზებული დახმარებების შესაძლებლობებთან (უნა-რები, შესაძლებლობები, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ფინანსური რესურსები და ა.შ.). საქართველოს მთავრობა განაგრძობს მუშაობას შესა-ბამის პარტნიორებთან.

ზემოაღნიშნული მრგვალი მაგიდის შედეგად, საქართველოს მთავრობამ დაიწყო გრძელვადიანი სისტემური მხარდაჭერის პროექტი SIDA-სთან, შვედეთის კონკურენციის სააგენტოსა და ესტონეთის საელჩოსთან. ამ თანამშრომლობის ფარგლებში უკვე გაიმართა რამდენიმე შეხვედრა და დაისახა თანამშრომლობის სამომავლო ნაბიჯები.

კონკურენციის პოლიტიკაში ჩართული სახელმწიფო ორგანოების ინსტიტუციური და ადმინისტრაციული გაძლიერების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მოითხოვა TAIEX-ის სემინარი. სემინარი დაგეგმილია 2010 წლის 9 ნოემბერს ქ. თბილისში. პროცესში ჩართული ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი მიიღებს მონაწილეობას ამ სემინარში.

თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს, ისევე, როგორც ყველა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ადმინისტრაციული და ინსტიტუციური გაძლიერება, მუდმივი პროცესია და მომავალშიც გაგრძელდება.

დასკვნა

კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიით საქართველოს მთავრობა გამოხატავს პოლიტიკურ ნებას, ჩამოაყალიბოს თანამედროვე კონკურენციის პოლიტიკა, მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში.

უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სტრატეგია და სამოქმედო პროგრამა შესაბამის სამინისტროებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით.

სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ მოქმედი კანონი ,,თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ შემუშავებულ იქნა გარდამავალი პერიოდისათვის და ძირითადად ეხება სახელმწიფო დახმარების საკითხებს.

პარალელურად, არალიბერალური სექტორებისათვის, კონკურენციის მარეგულირებელი სექტორული კანონები კვლავაც არსებობს და მოქმედებს.

კონკურენციის კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უნდა შემუშავდეს კონკურენციის ჩარჩო კანონი, რომელიც მოიცავს ეკონომიკის ყველა სექტორს, მათ შორის, არალიბერალურ სექტორებს. შესაბამისად, ცვლილებები უნდა შევიდეს სექტორულ კანონმდებლობაში, რათა მიღწეულ იქნეს მათი შესაბამისობა ჩარჩო კანონთან.

კონკურენციის ჩარჩო კანონი უნდა მოიცავდეს შემდეგ დეფინიციებს, რეგულირებებსა და იმპლემენტაციის დებულებებს:

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კონცენტრაციის რეგულირება, შემზღუდველი შეთანხმებები, შეთანხმებული ქმედებები და ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებები, სახელმწიფო დახმარება, შესაბამისი ბაზრის განმარტება და გამონაკლისთა ჯგუფის პრინციპები, ინსტიტუციური დებულებები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დამოუკიდებელი კონკურენციის სააგენტოს ჩამოყალიბება.

სტრატეგია განმარტავს, თუ როგორ აპირებს საქართველოს მთავრობა ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევას. სპეციალური თავები ეძღვნება კონკურენციის პოლიტიკის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხს.

სტრატეგიის ეს ნაწილები მოიცავს შესაბამის დეფინიციებს ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად. სტრატეგიაში განსაზღვრული შემოთავაზებები მიზნად ისახავს საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში ისეთი ნორმების შემოღებას, როგორიცაა:

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კონცენტრაციის რეგულირება, შემზღუდავი შეთანხმებები, შეთანხმებული ქმედებები და ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებები, სახელმწიფო დახმარება, შესაბამისი ბაზრის განმარტება და გამონაკლისთა ჯგუფის პრინციპები.

სტრატეგია განიხილავს მომავალ ინსტიტუციურ რეფორმას კონკურენციის სფეროში. ეს რეფორმა მიზნად ისახავს დამოუკიდებელი კონკურენციის სააგენტოს შექმნას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებაზე ეკონომიკის ყველა სექტორში, მათ შორის, არალიბერალურ სექტორებში. ამ მიზნით საქართველოს მთავრობამ დაიწყო აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

პირველ ეტაპზე, 2010 წლის 26 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა დამოუკიდებელი სსიპ – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო.

შემდგომი მოქმედებები მიზნად ისახავს ამ სააგენტოსათვის შესაბამისი უფლებამოსილებებისა და შესაძლებლობების მინიჭებას, როგორც ეს ასახულია სამოქმედო პროგრამაში. ამასთანავე, სტრატეგია ასახავს საქმის

შესწავლისა და გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

სტრატეგია მოიცავს კონკურენციის სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძ-ლებლობების გაძლიერების ხედვას.

და ბოლოს, სტრატეგია მოიცავს სამოქმედო პროგრამას.

დანართი

კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის სამოქმედო პროგრამა				
კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის მოსამზადებელი პროცესი				
ამოცანა	**საქმიანობა**	**პასუხისმგებელი ორგანო**	**დაფინანსება**	**ვადები**
კონკურენციის პოლიტიკაში რეფორმების მომზადების პროცესის ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა	უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა	საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისია	სახელმწიფო ბიუჯეტი	2009 წლის 14 აპრილი
	უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრები	საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისია	სახელმწიფო ბიუჯეტი	აპრილი, 2009 მარტი, 2010
კონკურენციის სფეროში ცოდნის გაღრმავება	კონკურენციის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის ანალიზი	უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი	სახელმწიფო ბიუჯეტი	2009 წლის აპრილიდან 2010 წლის მარტამდე
კონკურენციის პოლიტიკის მომზადება	კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის პროექტის მომზადება	უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი	სახელმწიფო ბიუჯეტი	2009 წლის მაისიდან 2010 წლის ივლისამდე
კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავება				
ამოცანა	**საქმიანობა**	**პასუხისმგებელი ორგანო**	**დაფინანსება**	**ვადები**

სტრატეგიის პირველადი პროექტის მომზადება	სტრატეგიის პირველადი პროექტის შემუშავება ევროკომისიის რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს DCFTA-ს მოლაპარაკებებისთვის მზადყოფნის თაობაზე	უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი	სახელმწიფო ბიუჯეტი	მაისი-სექტემბერი, 2009
	კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის კონცეფციისა და ძირითადი პრინციპების წარდგენა ევროკავშირთან ინტეგრაციის კომისიისათვის	უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი	სახელმწიფო ბიუჯეტი	28 ივლისი, 2009
	სტრატეგიის პირველადი პროექტის გაგზავნა შენიშვნებისათვის შესაბამის უწყებებში	უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი	სახელმწიფო ბიუჯეტი	2009 წლის სექტემბრის დასაწყისი
	სტრატეგიის პირველადი პროექტის დამტკიცება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის მიერ	უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი	სახელმწიფო ბიუჯეტი	2009 წლის 8 სექტემბერი

	სტრატეგიის პირველადი პროექტის მიწოდება ვაჭრობის გენერალური დირექტორატისათვის	საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩევალთა ჯგუფი	სახელმწიფო ბიუჯეტი	2009 წლის 10 სექტემბერი
	ევროკომისიისაგან საქართველოს მთავრობის მიერ სტრატეგიასთან დაკავშირებით შენიშვნების მიღება	ევროკომისიის სამსახურები	სახელმწიფო ბიუჯეტი	2009 წლის 5 ნოემბერი
	ევროკომისიისა და საქართველოს მთავრობის ექსპერტთა შეხვედრა კონკურენციის საკითხებზე	საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, DG TRADE, DG RELEX, DG COMPETITION	სახელმწიფო ბიუჯეტი	ქ. ბრიუსელი, 25 ნოემბერი, 2009
სტრატეგიის შესაბამისობაში მოყვანა ევროკომისიის მოთხოვნებთან	ევროკავშირის ტექნიკური დახმარების მიერ სტრატეგიის პროექტის გადასინჯვა	GEPLAC-ის ექსპერტი, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი	GEPLAC	თებერვალი-მარტი, 2010
სტრატეგიის შესწორებული პროექტის წარდგენა ევროკომისიისათვის	ევროკავშირთან ინტეგრაციის კომიტეტისთვის სტრატეგიის შესწორებული პროექტის წარდგენა	უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი	სახელმწიფო ბიუჯეტი	მარტი, 2010

	ევროკომისიისათვის სტრატეგიის შესწორებული პროექტის წარდგენა	საქართველოს მთავრობა	სახელმწიფო ბიუჯეტი	2010 წლის 13 მარტი
სტრატეგიისა და სამოქმედო პროგრამის საბოლოო პროექტის შემუშავება	ევროკომისიის მიერ საქართველოს მთავრობისათვის კომენტარების მიწოდება სტრატეგიის შესწორებულ ვარიანტზე	ევროკომისია	სახელმწიფო ბიუჯეტი	2010 წლის 30 აპრილი
	ქ. ბრიუსელში ევროკომისიისა და საქართველოს მთავრობის ექსპერტების შეხვედრა კონკურენციის საკითხებზე	სსიპ – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, DG TRADE, DG RELEX, DG COMPETITION	სახელმწიფო ბიუჯეტი	2010 წლის 25 ივნისი
	ევროკომისიისათვის სტრატეგიის შესწორებული პროექტის წარდგენა	საქართველოს მთავრობა	სახელმწიფო ბიუჯეტი	2010 წლის 7 ივლისი

	ევროკომისიის მიერ საქართველოს მთავრობისათვის კომენტარების მიწოდება სტრატეგიის შესწორებულ ვარიანტზე	ევროკომისია	სახელმწიფო ბიუჯეტი	2010 წლის 8 სექტემბერი
	ევროკომისიის რეკომენდაციების ასახვა და სტრატეგიის საბოლოო პროექტის გაგზავნა ევროკომისიისთვის	საქართველოს მთავრობა	სახელმწიფო ბიუჯეტი	2010 წლის 8 ოქტომბერი
ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება				
ამოცანა	**საქმიანობა**	**პასუხისმგებელი ორგანო**	**დაფინანსება**	**ვადები**
კონკურენციის სფეროში საჯარო მოხელეების ცოდნის გაღრმავება	ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი,	GEPLAC	2009 წლის მაისი

		საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო		
	სემინარები ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ კონკურენციის ინსტიტუციური მოწყობის სფეროში	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო	GEPLAC	დეკემბერი, 2009
	კონკურენციის გლობალური ფორუმი	საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი	OECD	თებერვალი, 2010

	ვიდეოკონფერენცია სათაურით: ,,დიალოგის ხელშეწყობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მოლაპარაკებების პროცესზე გამოცდილებების გაზიარებისათვის“	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი	მსოფლიო ბანკი	თებერვალი, 2010
	სასწავლო ვიზიტი გერმანიაში კონკურენციის პოლიტიკის საკითხებზე	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი	GTZ	თებერვალი, 2010
	ვიდეოკონფერენცია სათაურით: ,,სემინარი კონკურენციის პოლიტიკის საკითხებზე ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი	მსოფლიო ბანკი	მარტი, 2010

	მოლაპარაკებების პროცესის ფარგლებში“			
	შეხვედრა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს, SIDA-ს და ესტონეთის საელჩოს წარმომადგენლებს შორის	სსიპ – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი, ესტონეთის საელჩო, SIDA	ესტონეთის საელჩო, SIDA	2010 წლის 3 ივნისი
	შეხვედრა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს, SIDA-ს და შვედეთის კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენლებს შორის	სსიპ – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი, შვედეთის კონკურენციის სააგენტო, SIDA	სსიპ – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, SIDA	2010 წლის 10 ივნისი
	სასწავლო ვიზიტი შვედეთის კონკურენციის სააგენტოში	სსიპ – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი	SIDA	2010 წლის 27–29 სექტემბერი
	სემინარი კონკურენციის	სსიპ – თავისუფალი	TAIEX	

	პოლიტიკის შესახებ	ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი		2010 წლის 9 ნოემბერი
	სემინარი მოლაპარაკების უნარ–ჩვევებისა და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერების საკითხებზე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი, თავისუფალი	TAIEX	მოითხოვს დაზუსტებას

		ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო		
	სპეციალური მიზნობრივი ტრენინგ-პროგრამის მომზადება შესაბამისი უწყებებისთვის	სსიპ – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	სსიპ – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, საქართველოს პრემიერ– მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი, ესტონეთის საელჩო, SIDA	2010
	სპეციალური მიზნობრივი ტრენინგ-პროგრამის მომზადება მოსამართლეებისთვის	თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი	მოითხოვს დაზუსტებას	2011
	დონორთა მრგვალი მაგიდის შემდგომი კომუნიკაციის გაგრძელება შესაბამის პარტნიორებთან	საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი, ევროპულ და ევროატლანტიკურ	მოითხოვს დაზუსტებას	მიმდინარე

		სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი		
დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა				
ამოცანა	**საქმიანობა**	**პასუხისმგებელი ორგანო**	**დაფინანსება**	**ვადები**
პარლამენტის ჩართულობის გაძლიერება	კონსულტაციები საქართველოს პარლამენტთან DCFTA-თან დაკავშირებულ სამომავლო გეგმებსა და, მათ შორის, კონკურენციის საკითხებზე	საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	მიმდინარე
	საპარლამენტო უმცირესობათა ფრაქციებთან შეხვედრა კონკურენციის სფეროში ინსტიტუციური რეფორმის შესახებ კონსულტაციებისათვის	საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საპარლამენტო უმცირესობა	სახელმწიფო ბიუჯეტი	თებერვალი, 2010

საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდა	დონორთა მრგვალი მაგიდის ორგანიზება კონკურენციის სფეროში ტექნიკური დახმარების გამოსავლენად	საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და საელჩოს წარმომადგენელი	სახელმწიფო ბიუჯეტი	25 იანვარი, 2010
კერძო სექტორის ინფორმირებულობის ამაღლება	შეხვედრები კერძო სექტორის წარმომადგენლებთან	საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, საქართველოს ბიზნესმენთა ასოციაცია	საქართველოს ბიზნესმენთა ასოციაცია, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, სახელმწიფო ბიუჯეტი	მიმდინარე

ინსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმა					
		მოქმედება	**პასუხისმგებელი ორგანო**	**სამართლებრივი აქტი/დოკუმენტი**	**ვადები**
კონკურენციის სააგენტოს შექმნა	1.1.	ახალი ინსტიტუციონალურად დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს შექმნა	საქართველოს მთავრობა	საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება	2010 წლის 26 თებერვალი
	1.2.	ცვლილებები ,,თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში		საპარლამენტო პროცედურები	2010 წლის 12 მარტი
	1.3.	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან არსებული თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ჩანაცვლება დამოუკიდებელი კონკურენციის სააგენტოთი		საქართველოს მთავრობის დადგენილება	2010 წლის 3 მაისი
ყოვლისმო-მცველი საკანონმდე-ბლო ჩარჩო	2.1	ჩარჩო კანონის კონცეფციისა და სტრუქტურის შემუშავება	სსიპ – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო	ჩარჩო კანონის კონცეფცია და სტრუქტურა	აპრილი, 2010

	2.2.	კონკურენციის ჩარჩო კანონის პროექტის მომზადება	საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	კანონპროექტი	მარტი – ნოემბერი, 2010
	2.3.	შესაბამის კანონებში ცვლილებების პროექტების მომზადება, მათ შორის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში, რათა კანონმდებლობაში აისახოს ინსტიტუციური რეფორმა		კანონპროექტი	
	2.4.	სექტორული კანონების ჩარჩო კანონთან შესაბამისობაში მოყვანა		კანონპროექტი	აპრილი – ნოემბერი, 2010
შიდა სამთავრობო პროცედურები	3.	უწყებათაშორისი პროცედურები ჩარჩო კანონის პროექტის და სხვა შესაბამის კანონებში ცვლილებების პროექტის დასამტკიცებლად	საქართველოს მთავრობა	კანონპროექტი	დეკემბერი, 2010 – იანვარი, 2011

მოსმენები პარლამენტში	4.1.	საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო პაკეტის მოსმენები	საქართველოს მთავრობა	კანონპროექტი	ოქტომბერი, 2010 – იანვარი, 2011
	4.2.	საკანონმდებლო პაკეტის შემდგომი მოსმენები საქართველოს პარლამენტში			2011 წლის თებერვლიდან
კონკურენციის სააგენტოს გაძლიერებული უფლებამოსილებები	5.1.	გაძლიერებული თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს წესდების შემუშავება და მიღება	საქართველოს მთავრობა, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო	საქართველოს მთავრობის დადგენილება	საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლიდან
	5.2.	თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს მენეჯმენტის დანიშვნა	საქართველოს მთავრობა	ჩარჩო კანონის შესაბამისად	საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლიდან
	5.3.	კონკურენციის ახალი, დამოუკიდებელი სააგენტოს აღჭურვა სათანადო უფლებამოსილებებით და საქმიანობის დაწყება	საქართველოს მთავრობა	ჩარჩო კანონის შესაბამისად	საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლიდან
	5.4.	ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარებისა და	თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, საქართველოს პრემიერ-	მოითხოვს დაზუსტებას	საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში

		ინსტიტუციური გაძლიერების ღონისძიებების გაგრძელება	მინისტრის მრჩეველთა ჯგუფი		შესვლიდან.